

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

მინდობით აღზრდიდან გასული ახალგაზრდების სოციალიზაცია და საჭიროებები

(2017 წელი)

კვლევა განხორციელდა პროექტის ფარგლებში „სოციალური
და საგანმანათლებლო ინიციატივები - მომავალი თაობის
კეთილდღეობისათვის” ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური
მხარდაჭერით პროექტის დირექტორი მარინა თოფურია

სარჩევი

მეთოდოლოგია.....	3
ძირითადი მიგნებები	4
1. ზოგიერთი სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებელი	9
2. სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის გამოცდილება	13
2.1. ყოფნის ვადა	13
2.2. სახელმწიფო ზრუნვის ფორმები და თითოეულში გატარებული დრო	13
2.3. პირველადი განთავსების ძირითადი მიზეზები	14
2.4. სახელმწიფო ზრუნვის ფორმის შეცვლა და ამა თუ იმ ფორმის უპირატესობა.....	15
2.5. ცხოვრება სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ	17
3. დასაქმება	20
4. სოციალური დაცვა.....	23
5. საცხოვრებელი	25
6. ეკონომიკური მდგომარეობა	27
7. ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო მომსახურებებით სარგებლობა	30
8. სოციალური პრობლემები	33
9. ცხოვრების ხარისხით კმაყოფილება/ემპათია	35

ანგარიშის ავტორი: იაგო კაჭკაჭიშვილი

რეკომენდაციები შეიმუშავა: სალომე ჭიჭინაძემ

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი: სახელმწიფო ზრუნვიდან, კერძოდ, მინდობით აღზრდიდან გასული ახალგაზრდების სოციალიზაციის თავისებურებების შესწავლა.

გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა.

კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ.

სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან (კერძოდ, მინდობით აღზრდიდან) გასული სრულწლოვანი ახალგაზრდები ბოლო 3 წლის მანძილზე (2015–16–17 წლებში).¹

შერჩევითი ერთობლიობა: 51 რესპონდენტი

კვლევის ინსტრუმენტი²: სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც ძირითადად შედგებოდა დახურული ან ნახევრად დახურული შეკითხვებისაგან. კითხვარისთვის ინდიკატორების შესამუშავებლად ჩატარდა ერთი ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალური მუშაკები, ბავშვთა კეთილდღეობასა და უფლებებზე მომუშავე ექსპერტები. ისინი წარმოადგენდნენ როგორც სახელმწიფო/საჯარო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მონაცემები **დამუშავდა** და **განალიზდა** SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში, ანალიზის უნივარიაციაული და ბივარიაციული მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა: სიხშირული განაწილება, ცენტრალური ტენდენციის საზომები, ჯვარედინი ანალიზი და კორელაციური ანალიზი.

¹ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2015–16–17 წლებში მინდობით აღზრდიდან გავიდა 120 ახალგაზრდა; მათგან 13 შშმ პირია; დაკავშირება ვერ მოხერხდა 46 ახალგაზრდასთან (საკონტაქტო ან საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაციის არქონის გამო), ხოლო 10–მა ახალგაზრდამ ინტერვიუზე უარი განაცხადა.

² კვლევის ინსტრუმენტში გამოვიყენეთ ზოგიერთი შეკითხვა და სკალა, რომლებიც შემუშავებულია სოციალური მუშაობის საერთაშორისო ექსპერტების – ჯომ კონროის და ნათია ფარცხალაძის – მიერ.

ძირითადი მიგნებები

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

- რესპონდენტების 45,1% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო უმრავლესობა – 54.9% მდედრობითი სქესის. საშუალო ასაკია 18.8 წელია.
- გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (84.2%) დაუქორწინებელია; დაქორწინებულია 4 რესპონდენტი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება – 3 (მდედრობითი სქესის), ხოლო განქორწინებულია – 1 რესპონდენტი (მდედრობითი სქესის).
- რესპონდენტთა ოჯახების დიდი უმრავლესობაში (82%) ოჯახის წევრთა რაოდენობა მერყეობს 1–დან 5 წევრამდე. ოჯახის ზომის საშუალო მაჩვენებელია (Mean) 4.4 წევრი, რაც რამდენადმე შორდება ქვეყნის მაჩვენებელს (3.4 წევრი); მედიანური მაჩვენებელი 4–ის ტოლია.
- რესპონდენტებს ძირითადად მიღებული აქვთ სრული საშუალო (47.1%) და არასრული საშუალო (37,3%) განათლება, ხოლო დაახლოებით 10%-ს – პროფესიულ-ტექნიკური განათლება. სამი რესპონდენტი (5,9%) სტუდენტია.
- რესპონდენტები გაფანტულები არიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში: უმრავლესობა (32 რესპონდენტი, 62.7%) ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 19 რესპონდენტი სოფლად.

სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის გამოცდილება

- სახელმწიფო ზრუნვაში (იგულისხმება ყველა 24 საათიანი მომსახურება) რესპონდენტთა ყოფნის საშუალო მაჩვენებელია (Mean) დაახლოებით 89 თვე, ანუ 7 წელი და 4 თვე; მედიანური მაჩვენებელი უტოლდება 72 თვეს (6 წელს); გამოკითხვაში მოხვდნენ რესპონდენტები, რომლებსაც მაქსიმუმ 18 წელი (216 თვე), ხოლო მინიმუმ 7 თვე გაატარეს სახელმწიფო ზრუნვაში.
- რესპონდენტებმა მინდობით (მათ შორის, ნათესაური) აღზრდის გარდა, გამოიარეს სახელმწიფო ზრუნვის სხვა ფორმებიც: მცირე საოჯახო სახლი და ბავშვთა სახლი. გამოკითხულთა უმრავლესობა (63%-მდე) სახელმწიფო ზრუნვის ერთ რომელიმე ფორმაში იმყოფებოდა, 29.4% - ზრუნვის რომელიმე ორ ფორმაში, ხოლო 4 რესპონდენტი აღმოჩნდა ისეთი, ვინც სამ ფორმაში იყო განთავსებული.
- რესპონდენტებმა ყველაზე მეტი ხანი დაჰყვეს სახელმწიფო ზრუნვის ისეთ ფორმებში, როგორებიცაა ბავშვთა სახლი (საშუალოდ დაახლოებით 58 თვე) და მინდობითი აღზრდა (საშუალოდ დაახლოებით 57 თვე).
- სახელმწიფო ზრუნვაში პირველადი განთავსების ძირითად მიზეზად დასახელდა ოჯახის მწვავე კრიზისული მდგომარეობა (49%). მეტ-ნაკლები სიხშირით გამოირჩევა ისეთ მიზეზები, როგორებიცაა: ბიოლოგიური მშობლის/მშობლების გარდაცვალება (13.7%) ან მიტოვება ბიოლოგიური მშობლების/ნათესავების მიერ (10%-მდე).
- რესპონდენტთა უმრავლესობას (63%-მდე) არ შეუცვლია სახელმწიფო ზრუნვის ფორმა, ანუ განთავსებულ იყო სახელმწიფო ზრუნვის მხოლოდ ერთ ფორმაში. თუმცა, დაახლოებით 37%-

ია ისეთი, ვინც ერთხელ (13.7%), ორჯერ (6%-მდე) ან სამჯერ (18%-მდე) შეიცვალა ზრუნვის ფორმა.

- იმ 19 რესპონდენტიდან, ვინც განთავსებული იყო სახელმწიფო ზრუნვის ერთზე მეტ ფორმაში.
- გამოკვეთილი უმრავლესობა (15 რესპონდენტი) მინდობით აღზრდას ანიჭებს უპირატესობას.
- პერიოდი, როდესაც რესპონდენტები სახელმწიფო ზრუნვაში აღარ იმყოფებიან, საშუალოდ 15 თვეს შეადგენს. მედიანური მაჩვენებელი მოწმობს, რომ ერთ წელზე ნაკლებია გასული, რაც რესპონდენტთა ნახევარი სახელმწიფო ზრუნვიდან გავიდა.
- იმ ადგილებს შორის, სადაც რესპონდენტები ამჟამად ცხოვრობენ, გამოირჩევა ორი: ა) მათი ბიოლოგიური მშობლების ოჯახი (ცხოვრობს 33.3%) და ბ) მინდობით აღზრდილი ოჯახი (ცხოვრობს 25.5%).
- მთლიანობაში 15 რესპონდენტია ისეთი, რომელიც სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ ამჟამინდელ საცხოვრებლამდე განსხვავებულ ადგილას (ანუ, ერთზე მეტ ადგილას) ცხოვრობდა; ამ ადგილებს შორის კვლავ ბიოლოგიური მშობლების ოჯახი და მინდობით აღზრდილი ოჯახი გამოირჩევა. ასეთი რესპონდენტებისთვის ბიოლოგიური მშობლების ოჯახში გატარებული დროის საშუალო ხანგრძლივობა (Mean) 9 თვეა, ხოლო მინდობით აღზრდილ ოჯახში გატარებული დროის ხანგრძლივობა – 15 თვე.
- რესპონდენტთა უმრავლესობა (57%-მდე) სხვა ადგილს არჩევდა საცხოვრებლად, ვიდრე მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილია. მეორე მხრივ, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (41.2%) ამ შეკითხვას უარყოფითად პასუხობს.
- იმ რესპონდენტებს შორის, ვინც საცხოვრებლის გამოცვლას არჩევდა (ასეთია სულ 29 რესპონდენტი), ყველაზე სასურველ საცხოვრებელ ადგილად დასახელდა დედამამშვილების (და/მმა) ადგილსამყოფელი (30%-მდე); მხოლოდ 9 რესპონდენტმა გამოთქვა ბიოლოგიურ მშობლებთან გადასვლის სურვილი. სხვებმა ბიოლოგიური მშობლებთან არდაბრუნება შემდეგი მიზეზებით ახსნეს: ა) მშობლების გულგრილობა შვილის მიმართ; ბ) მშობლ(ებ)ის გარდაცვალება; გ) მშობელთან/მშობლებთან კონტაქტის გაწყვეტა და დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი.

დასაქმება

- პრაქტიკულად ყოველი მეორე რესპონდენტი (51%) უმუშევარია და არ არის დაკავებული არანაირი საქმიანობით. ჯამში, დასაქმებულია 25 რესპონდენტი (ანუ, 49%). დასაქმების ძირითადი ადგილებია: კერძო ორგანიზაცია (დაქირავებით მუშაობა ხელფასზე ან გამომუშავებაზე) და არასასოფლო-სამეურნეო დროებით სამუშაო, რაც თვითდასაქმებას ან არაფორმალურ დასაქმებას გულისხმობს.
- რესპონდენტები მკვეთრად დადებითად აფასებენ მათი სამუშაოს პრაქტიკულად ყველა პარამეტრს: სამუშაო გარემოს, თანამშრომლებთან ურთიერთობას, დამქირავებელთან ურთიერთობას, სამუშაო გრაფიკს და საქმიანობის შინაარსს (Mean > 4-შეფასების 5 ქულიან სკალაზე). შედარებით მოკრძალებული ანაზღაურების პარამეტრის შეფასება (Mean=3.3).
- დაუსაქმებელი რესპონდენტების უმრავლესობას (67%-მდე) არც უცდია სამსახურის მოძებნა გამოკითხვის მომენტამდე 4 კვირის განმავლობაში. ამის ძირითად მიზეზად კი დასახელდა რესპონდენტთა სწავლა. გასათვალისწინებელი სიხშირით დასახელდა ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა უიმედობა სამსახურის პოვნის თვალსაზრისით.

სოციალური დაცვა

- მინდობითი აღზრდიდან გასვლის შემდეგ რესპონდენტთა უმრავლესობის (77%-მდე) ოჯახებს არ შეუტანიათ განაცხადი სოციალურად დაუცველთა (უმწევოთა) ბაზაში მოსახვედრად და არც მომავალში აპირებს ამის გაკეთებას. ამის ძირითად მიზეზად საჭიროების არარსებობა დასახელდა.
- უმწევოთა დახმარების მისაღებად განაცხადის შეტანას ადასტურებს გამოკითხულთა მეხუთედი (11 ოჯახი). მათგან 5 რესპონდენტი ასახელებს ოჯახის სარეიტინგო ქულას, რომელიც მოთავსებულია 0–65 000 ქულის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ განაცხადის შემტან ამ ოჯახებს დაენიშნათ მონეტარული (ფულადი) სოციალური დახმარება, როგორც უმწევო ოჯახებს.

საცხოვრებელი

- რესპონდენტთა უმრავლესობა (59%-მდე) საკუთარ კერძო სახლში ცხოვრობს, რომელიც ერთი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს; შედარებით გავრცელებულ საცხოვრებელს წარმოადგენს, აგრეთვე, საცხოვრებელ კორპუსში მოთავსებული ბინა (25.5%).
- საცხოვრებლის მფლობელი, უმეტეს შემთხვევაში, თავად ოჯახია. მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, ასევე, საცხოვრებლის ქირავნობის პრაქტიკაც. ცალკეულ შემთხვევებში საცხოვრებლის მფლობელია სხვა პირი ან ორგანიზაცია („სოს ბავშვთა სოფელი“, მონასტრის შემთხვევაში, საქართველოს საპატრიარქო).
- საცხოვრებელთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ის სარემონტოა (51%); რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (29.4%) უჩივის, აგრეთვე, იმას, რომ არ აქვთ წყლის გამათბობელი, რაც ზღუდავს ჰიგიენის დაკმაყოფილების საშუალებას.
- პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი, რომლის ოჯახიც დაქირავებულ საცხოვრებელში ცხოვრობს (ასეთია სულ 10 ოჯახი), მიუთითებს ბინის ქირის გადახდის პრობლემაზე (9 ოჯახი).

ეკონომიკური მდგომარეობა

- რესპონდენტთა ოჯახების ფინანსური შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ოჯახის წევრების (რესპონდენტის გარდა) ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება (33.7%). მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან წყაროებად დასახელდა: ა) თავად რესპონდენტის ხელფასი/გამომუშავებული ანაზღაურება; ბ) ოჯახის წევრების პენსია და გ) სხვადასხვა სოციალური დახმარება (დევნილთა შემწეობის ჩათვლით).
- გასულ თვეში რესპონდენტთა ოჯახების ჯამური შემოსავალი შეადგენდა საშუალოდ (Mean) 691 ლარს.
- შემოსავლის ძირითადი წყაროების გათვალისწინებით, შემოსავლების საშუალო და მედიანური მაჩვენებლებია:
 - რესპონდენტთა ოჯახის წევრების ხელფასებისგან/გამომუშავებული ანაზღაურებისგან მიღებული შემოსავალი: Mean=481 ლარი თვეში; Median= 550 ლარი თვეში;
 - თავად რესპონდენტების ხელფასებისგან/გამომუშავებული ანაზღაურებისგან მიღებული შემოსავალი Mean =429 ლარი თვეში; Median= 400 ლარი თვეში;
 - პენსიისგან მიღებული შემოსავლები: Mean=231 ლარი თვეში; Median= 180 ლარი თვეში;
 - სხვადასხვა სოციალური დახმარებისგან მიღებული შემოსავლები: Mean=327 ლარი თვეში; Median= 180 ლარი თვეში.

- რესპონდენტთა ოჯახების შემოსავლების ძირითადი ნაწილი იხარჯება სამი მიმართულებით:
 - კვებაზე (34.5%)
 - კომუნალურ გადასახადებზე (26%-მდე)
 - მედიკამენტებზე (14.4%)

ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობა

- გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (73%-მდე) თავს პრაქტიკულად ჯანმრთელად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ჯანმრთელობის პრობლემები არ შექმნია. რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი (8%-მდე) მიუთითებს, რომ მათ განვლილი 12 თვის განმავლობაში გამოუვლინდათ ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა ქრონიკული დავადებები, ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები, რომელთაც დასჭირდათ ქირურგიული ჩარევები და ა.შ.
- მთლიანობაში რესპონდენტთა 70%-ია ისეთი, ვისაც უსარგებლია ერთი რომელიმე სამედიცინო მომსახურებით მაინც გასული 12 თვის განმავლობაში. საშუალოდ ყოველი მესამე რესპონდენტი აღნიშნავს ისეთი სამედიცინო მომსახურებებს გამოყენებას, როგორებიცაა: ოჯახის ექიმის მომსახურება, ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია/ამბულატორიული მკურნალობა და სტომატოლოგის კონსულტაცია. ყოველმა მეოთხე რესპონდენტმა კი გამოიყენა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურება. რესპონდენტთა დიდ/აბსოლუტურ უმრავლესობას ბოლო 12 თვის განმავლობაში არც ქირურგიული ოპერაცია დასჭირვებია და არც ჰოსპიტალიზაცია ქირურგიული ოპერაციის გარეშე.
- სამედიცინო მომსახურებების გამოყენების სიხშირე (ბოლო 12 თვის განმავლობაში) მერყეობს 1–სა და 3–ს შორის. ყველაზე მაღალია ოჯახის ექიმის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალო მაჩვენებელი (Mean = 2.91; Median = 2); შემდეგ მოდის სასწრაფო დახმარების და პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურების გამოყენების სიხშირეთა საშუალო მაჩვენებლები (შესაბამისად, Mean= 2.71 და Mean= 2.80).
- ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით რესპონდენტთა დაახლოებით 46% სარგებლობს, რომელთაგან ნაწილს აქვს უმწეო ოჯახების სამედიცინო დაზღვევა, ნაწილს კი საყოველთაო დაზღვევა. გამოკითხულთაგან არავის აღმოაჩნდა კერძო (საკუთარი ხარჯებით) დაზღვევა ან კორპორატიული დაზღვევა სამსახურში.

სოციალური პრობლემები

- გამოიკვეთა ორი სოციალური პრობლემა, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ რესპონდენტებს შეექმნათ:
 - ფინანსების ნაკლებობა (63%-მდე)
 - დაუსაქმებლობა (47.1%)
- სხვა სოციალურ პრობლემებს შორის (თანაბარი წილით - 30%-მდე) აღსანიშნავია:
 - საცხოვრებლის არქონა
 - სწავლის გაგრძელების შეუძლებლობა
 - დეპრესია /ნერვული აშლილობა

ცხოვრების ხარისხით კმაყოფილება/ემპათია


- რესპონდენტთა კმაყოფილება, ცხოვრების სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით, როგორც სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის პერიოდში, ისე სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდგომ, არ ექცევა უარყოფითი შეფასების ველში. თუმცა, რესპონდენტებმა მიუთითეს ცვლილებების შესახებ ამ ორი პერიოდის შედარების კრილში:
1. რესპონდენტები საუბრობენ მდგომარეობის გაუარესებაზე შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებით:
 - ა) უსაფრთხოება; ბ) სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო; გ) საცხოვრებელი ადგილი და გარემო; დ) მშვიდი ძილი; ე) საჭიროების შემთხვევაში დახმარების მიღების იმედი.
 2. რესპონდენტთა ამჟამინდელი მდგომარეობა გაუმჯობესებულია შემდეგი მიმართულებით:
 - ა) ცხოვრების დამოუკიდებლად გაძლოლის შესაძლებლობა; ბ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა; გ) საკუთარი მიზნების განხორციელება; დ) განმარტოების შესაძლებლობა; ე) მინდობით აღმზრდელი მშობლების მხრიდან მოპყრობა; ვ) საკუთარი ცხოვრების ხარისხით კმაყოფილება.
- ამრიგად, სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლა დადებითად წაადგა რესპონდენტთა პიროვნებად ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების განვითარებას, თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტები აღმოჩნდნენ უფრო დაუცველები, სხვადასხვა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე.
 - რესპონდენტების ემპათია ყველაზე მეტად იკვეთება მინდობით აღმზრდელების მიმართ: ამ ჯგუფს მიმართავდა დასახმარებლად პირველ რიგში რესპონდენტთა უმრავლესობა (53%-მდე), საჭიროების შემთხვევაში. ნდობის მნიშვნელოვანი ხარისხი დაუკავშირდა, ასევე, ისეთ პირველად ჯგუფს, როგორიცაა მეგობრები (41.2%).
 - რესპონდენტთა მეოთხედი (25.5%) პირველი რიგის ნდობას უკავშირებს ისეთ აქტორებს, როგორებიცაა: ა) ბიოლოგიური მშობლები; ბ) სოციალური მუშაკი; გ) სასულიერო პირები.
 - ყველაზე ნაკლები ემპათია დაუკავშირდა მეზობლებს (3.9%), საერთაშორისო ორგანიზაციებს (5.9%), სახელმწიფო სტრუქტურებს (7.8%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (9.8%).

1. ზოგიერთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი

სქესი: რესპონდენტების 45,1% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო უმრავლესობა – 54,9% მდედრობითი სქესის.

ასაკი: რესპონდენტთა საშუალო ასაკია 18.8 წელი; მედიანური მაჩვენებელია 19 წელი; მინიმალური ასაკია 18 წელი, ხოლო მაქსიმალური – 21 წელი.

დიაგრამა #1




ცხრილი#1

	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
ასაკი	51	0	18.78	19.00	18	.808	18	21

რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობა ასეთია: 51 რესპონდენტიდან დიდი უმრავლესობა (42 რესპონდენტი, ანუ 84.2%) დაუქორწინებელია; დაქორწინებულია 4 რესპონდენტი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება – 3 (ყველა მდედრობითი სქესისაა), ხოლო განქორწინებულია – 1 რესპონდენტი (მდედრობითი სქესის).

დიაგრამა #2




ოჯახის ზომა: რესპონდენტთა ოჯახების დიდი უმრავლესობაში (82%) ოჯახის წევრთა რაოდენობა მერყეობს 1-დან 5 წევრამდე. ოჯახის ზომის საშუალო მაჩვენებელია (Mean) 4.4 წევრი, რაც რამდენადმე შორდება ქვეყნის მაჩვენებელს (3.4 წევრი); მედიანური მაჩვენებელი უდრის 4-ს (ანუ, ოჯახების ნახევარი 4 სულზე მეტია, ხოლო ნახევარი – 4 სულზე ნაკლები); ყველაზე გავრცელებულია (Mode) 3 სულიანი ოჯახი; ოჯახის წევრთა მინიმალური რაოდენობაა 1, ხოლო მაქსიმალური – 17.

ცხრილი #2

	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
ოჯახის წევრების რაოდენობა (თქვენი ჩათვლით)	50	1	4.42	4.00	3	2.741	1	17

განათლების დონე: რესპონდენტთა ყველაზე დიდ ნაწილს (47,1%) მიღებული აქვს **სრული საშუალო განათლება**. 37,3%-ს – არასრული საშუალო განათლება. იმ რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც მიღებული აქვთ პროფესიულ-ტექნიკური განათლება 9.8%-ია (5 რესპონდენტი), ხოლო სამმა რესპონდენტმა (5,9%) აღნიშნა, რომ სტუდენტია (დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე).

დიაგრამა #3




საცხოვრებელი ადგილი: რესპონდენტები გაფანტულები არიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში: უმრავლესობა (32 რესპონდენტი, 62.7%) ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 19 რესპონდენტი სოფლად.


ურბანულ ადგილებში მცხოვრები რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი (თითქმის მეოთხედი, 13 რესპონდენტი) თბილისის მაცხოვრებელია. გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა (თითოეულ შემთხვევაში 2-2-2 რესპონდენტი) უთითებს თავის საცხოვრებელ ქალაქად მცხეთას, გორს, ქუთაისს, თელავს. 3 რესპონდენტი ბათუმში ცხოვრობს. კვლევაში მონაწილე პირების საცხოვრებელი ქალაქები, ასევე, არის რუსთავი, ზესტაფონი, ქობულეთი, ასპინძა, ახალქალაქი და ა.შ.

სოფლებში მაცხოვრებელი რესპონდენტები წარმოადგენენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის და რაიონის 14 სოფელს.

დიაგრამა #4



დიაგრამა #5



2. სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის გამოცდილება

2.1. ყოფნის ვადა

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სახელმწიფო ზრუნვაში (იგულისხმება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ყველა 24 საათიანი მომსახურება) რესპონდენტთა ყოფნის საშუალო მაჩვენებელია (Mean) დაახლოებით 89 თვე, ანუ 7 წელი და 4 თვე; Median (ანუ, რესპონდენტთა განაწილების შუა წერტილი) უტოლდება 72 თვეს (6 წელს), ანუ რესპონდენტთა ნახევარს 6 წელზე მეტი აქვს გატარებული სახელმწიფო ზრუნვაში, ხოლო მეორე ნახევარს - 6 წელზე ნაკლები. გამოკითხვაში მოხვდნენ რესპონდენტები, რომლებსაც მაქსიმუმ 18 წელი (216 თვე), ხოლო მინიმუმ 7 თვე გაატარეს სახელმწიფო ზრუნვაში.

ცხრილი#3

	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
რამდენი ხანი იმყოფებოდით სახელმწიფო ზრუნვაში? (თვე)	50	1	88.9	72.00	48	63.421	7	216

2.2. სახელმწიფო ზრუნვის ფორმები და თითოეულში გატარებული დრო

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტების ნაწილმა, მინდობით (მათ შორის, ნათესაური) აღზრდის გარდა, გამოიარეს სახელმწიფო ზრუნვის სხვა ფორმებიც: მცირე საოჯახო სახლი და ბავშვთა სახლი.

ამასთან. გამოკითხულთა უმრავლესობა (32 რესპონდენტი, ანუ 63%-მდე) სახელმწიფო ზრუნვის ერთ რომელიმე ფორმაში იმყოფებოდა, 29.4% (15 რესპონდენტი) - ზრუნვის რომელიმე ორ ფორმაში, ხოლო 4 რესპონდენტი აღმოჩნდა ისეთი, ვინც სამ ფორმაში იყო განთავსებული.

ცხრილი#4

სახელმწიფო ზრუნვის ერთ ფორმაში	32
მინდობით აღზრდა	17
მცირე საოჯახო სახლი	1
ბავშვთა სახლი	4
ნათესაური მინდობით აღზრდა	10
ორ ფორმაში	15
ბავშვთა სახლი	14
მინდობით აღზრდა	
მცირე საოჯახო სახლი	1
მინდობით აღზრდა	
სამ ფორმაში	4
ბავშვთა სახლი	4
მცირე საოჯახო სახლი	
მინდობით აღზრდა	

სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ რესპონდენტებმა ყველაზე მეტი ხანი დაჰყვეს სახელმწიფო ზრუნვის ისეთ ფორმებში, როგორებიცაა **ბავშვთა სახლი** (საშუალოდ დაახლოებით 58 თვე) და **მინდობითი აღზრდა** (საშუალოდ დაახლოებით 57 თვე). რაც შეეხება მცირე საოჯახო სახლს და ნათესაურ მინდობით აღზრდას, ამ ინსტიტუტებში, გარდა იმისა, რომ გაცილებით ნაკლები რესპონდენტი იყო ჩართული (საოჯახო სახლში – 5, ხოლო ნათესაურ მინდობით აღზრდაში – 10), აქ მათ გაცილებით ნაკლები დროც აქვთ გატარებული: საოჯახო სახლში საშუალოდ 25 თვე, ხოლო ნათესაურ მინდობით აღზრდაში – საშუალოდ 79.7 თვე. მედიანური მონაცემებიც ცხადად აჩვენებს მინდობითი აღზრდისა და ბავშვთა სახლის უპირატესობას (სხვა ფორმებთან შედარებით) რესპონდენტებისთვის თავშესაფრის მიცემის ხანგრძლივობის თაღსაზრისით: გამოკითხულთა ნახევარს მინდობით აღზრდაში 48 თვეზე მეტი აქვს გატარებული, ხოლო ბავშვთა სახლში – 42 თვეზე მეტი (შედარებისთვის: მცირე საოჯახო სახლისთვის Median უტოლდება 24 თვეს, ხოლო ნათესაური მინდობით აღზრდისთვის – 55 თვეს).

ცხრილი #5


რამდენი ხანი გატარეთ მზრუნველობის ამა თუ იმ ფორმაში	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
- ბავშვთა სახლი (თვეებში)	20	31	57.5	42.00	3 ^a	50.060	3	168
- მცირე საოჯახო სახლი (თვეებში)	5	46	25.2	24.00	24	8.899	12	36
- მინდობით აღზრდა (თვეებში)	35	16	56.5	48.00	48	44.014	10	216
- ნათესაური მინდობით აღზრდა (თვეებში)	10	41	79.7	55.00	24 ^a	76.557	3	216

შენიშვნა: a Multiple modes exist. The smallest value is shown

2.3. პირველადი განთავსების ძირითადი მიზეზები

სახელმწიფო ზრუნვაში პირველადი განთავსების ძირითად მიზეზად დასახელდა **ოჯახის მწვავე კრიზისული მდგომარეობა** - პრაქტიკულად ყოველი მეორე რესპონდენტი (49% ამ მიზეზს ასახელებს). მეტ-ნაკლები სიხშირით გამოირჩევა ისეთ მიზეზები, როგორებიცაა: ბიოლოგიური მშობლის/მშობლების გარდაცვალება (13.7%) ან მიტოვება ბიოლოგიური მშობლების/ნათესავების მიერ (10%-მდე).


დიაგრამა #6



2.4. სახელმწიფო ზრუნვის ფორმის შეცვლა და ამა თუ იმ ფორმის უპირატესობა


გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას (63%-მდე) არ შეუცვლია სახელმწიფო ზრუნვის ფორმა, ანუ განთავსებული იყო სახელმწიფო ზრუნვის მხოლოდ ერთ ფორმაში. თუმცა, დაახლოებით 37%-ია ისეთი, ვინც ერთხელ (13.7%), ორჯერ (6%-მდე) ან სამჯერ (18%-მდე) შეიცვალა ზრუნვის ფორმა.

დიაგრამა #7




იმ 19 რესპონდენტიდან, ვინც განთავსებული იყო სახელმწიფო ზრუნვის ერთზე მეტ ფორმაში, გამოკვეთილი უმრავლესობა (15 რესპონდენტი) **მინდობით აღზრდას** ანიჭებს უპირატესობას, ხოლო 4 – ბავშვთა სახლს (საინტერესოა, რომ 7-მა რესპონდენტმა აღნიშნულ შეკითხვას არ უპასუხა).

დიაგრამა #8



დიაგრამა #9



2.5. ცხოვრება სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ

გამოკითხვა აჩვენებს, რომ პერიოდი, როდესაც რესპონდენტები სახელმწიფო ზრუნვაში აღარ იმყოფებიან, საშუალოდ 15 თვეს შეადგენს. მედიანური მაჩვენებელი მოწმობს, რომ ერთ წელზე ნაკლებია გასული, რაც რესპონდენტთა ნახევარი სახელმწიფო ზრუნვიდან გავიდა.

ცხრილი#6


	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
რამდენი ხანია, რაც სახელმწიფო ზრუნვაში არ იმყოფებით? (თვე)	44	7	14.6	12.00	12 ^a	12.703	1	72

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ, რესპონდენტები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვადასხვა ადგილას:

- იმ ადგილებს შორის, სადაც რესპონდენტები ამჟამად ცხოვრობენ, გამოირჩევა ორი: ა) მათი ბიოლოგიური მშობლების ოჯახი (ცხოვრობს 17 რესპონდენტი, ანუ 33.3%) და ბ) მინდობით აღმზრდელი ოჯახი (ცხოვრობს 13 რესპონდენტი, ანუ 25.5%);
- მთლიანობაში 15 რესპონდენტი ისეთი, რომელიც სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ ამჟამინდელ საცხოვრებლამდე განსხვავებულ ადგილას (ანუ, ერთზე მეტ ადგილას) ცხოვრობდა; ამ


ადგილებს შორის კვლავ ბიოლოგიური მშობლების ოჯახი და მინდობით აღმზრდელი ოჯახი გამოირჩევა. ასეთი რესპონდენტებისთვის ბიოლოგიური მშობლების ოჯახში გატარებული დროის საშუალო ხანგრძლივობა (Mean) 9 თვეა, ხოლო მინდობით აღმზრდელ ოჯახში გატარებული დროის ხანგრძლივობა – 15 თვე.

დიაგრამა #10




კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (57%—მდე) **სხვა ადგილს არჩევდა საცხოვრებლად, ვიდრე მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილია**. მეორე მხრივ, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (41.2%) ამ შეკითხვას უარყოფითად პასუხობს.

დიაგრამა #11




იმ რესპონდენტებს შორის, ვინც საცხოვრებლის გამოცვლას არჩევდა (ასეთია სულ 29 რესპონდენტი), ყველაზე სასურველ საცხოვრებელ ადგილად დასახელდა დედამამიშვილების (და/მმა) ადგილსამყოფელი (30%-მდე); მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა ბიოლოგიური დედის ადგილსამყოფელი (16.2%) და მარტო (დამოუკიდებლად) ცხოვრების სურვილი (11%-მდე).

დიაგრამა #12




იმ 29 რესპონდენტს შორის, ვინც ამჟამინდელი საცხოვრებლის გამოცვლა არჩია, მხოლოდ 10 რესპონდენტმა გამოთქვა ბიოლოგიურ მშობლებთან გადასვლის სურვილი (მათგან, 6-მა – ბიოლოგიურ დედსთან, 2-მა – ბიოლოგიურ მამასთან და კიდევ 2-მა – ორივესთან). დანარჩენს 20 რესპონდენტს დაესვა შეკითხვა, თუ რატომ არ სურდათ მათ ბიოლოგიურ მშობლებთან (დედასთან, მამასთან ან ორივესთან) საცხოვრებლად გადასვლა. გამოკითხვა აჩვენებს, რომ ამის ძირითადი მიზეზებია: ა) მშობლების გულგრილობა შვილის მიმართ („ის/ისინი კარგად არ ზრუნავდა/ზრუნავდნენ ჩემზე“); ბ) მშობლ(ებ)ის გარდაცვალება; გ) მშობელთან/მშობლებთან კონტაქტის გაწყვეტა და დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი.

დიაგრამა #13



3. დასაქმება

გამოკითხვა აჩვენებს, რომ პრაქტიკულად ყოველი მეორე რესპონდენტი (51%) **უმუშევარია** და არ არის დაკავებული არანაირი საქმიანობით. არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა (14 რესპონდენტი, 27.5%) აღნიშნავს, რომ მუშაობს კერძო ორგანიზაციაში ხელფასზე ან გამომუშავებაზე; 6 რესპონდენტი მიუთითებს, რომ დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დროებით სამუშაოზე და იღებს ანაზღაურებას ნატურით ან ფულადი სახით. ჯამში, დასაქმებულია 25 რესპონდენტი (ანუ, 49%).



დასაქმებულმა რესპონდენტებმა (ჯამში 25 რესპონდენტი) 5 ქულიან სკალაზე შეაფასეს თავიანთი სამუშაო სხვადასხვა პარამეტრების საფუძველზე, როგორებიცაა: ანაზღაურება, სამუშაო გარემო, თანამშრომლებთან ურთიერთობა, დამქირავებელთან ურთიერთობა, სამუშაო გრაფიკი და საქმიანობის შინაარსი.³

გამოკითხვა აჩვენებს, რომ დასაქმებული რესპონდენტები დადებითად აფასებენ მათი სამუშაოს პრაქტიკულად ყველა პარამეტრს (შეფასების ყველა საშუალო მაჩვენებელი (Mean) მოხვდა ნეიტრალური ქულის ზემოთ, ანუ შეფასების დადებით ველში). შედარებით მოკრძალებულია სამუშაოს შეფასების მონაცემები ანაზღაურებასთან მიმართებით, აქ საშუალო მაჩვენებელია (Mean) 3.32 ქულა, ანუ შეფასება ძალზე ახლოსაა ნეიტრალურ პუნქტთან. ამასვე მოწმობს მოდის და მედიანური მაჩვენებლებიც (3–3 ქულა).

დასაქმებული რესპონდენტების დადებით დამოკიდებლებას მათი სამუშაოს სხვადასხვა მახასიათებელთან მიმართებით აჩვენებს, აგრეთვე, შეფასების სკალის ქულებს შორის პროცენტული განაწილება.

³ შეფასება განხორციელდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 5 აღნიშნავს „ძალზე დადებითად“, ხოლო ქულა 1 – „ძალზე უარყოფითად“; სკალის ნეიტრალური პუნქტია 3 ქულა – „არც დადებითად, არც უარყოფითად“.

ცხრილი#7

როგორ აფასებთ თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს?	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
ანაზღაურება	22	29	3.32	3.00	3	1.249	1	5
სამუშაო გარემო	24	27	4.00	4.00	5	1.103	1	5
ურთიერთობებს თანამშრომლებთან	22	29	4.68	5.00	5	.646	3	5
დამქირავებელთან ურთიერთობა	20	31	4.45	5.00	5	.686	3	5
სამუშაო გრაფიკი	23	28	4.30	5.00	5	.876	2	5
საქმიანობის შინაარსი	24	27	4.21	5.00	5	1.103	1	5

ცხრილი#8

როგორ აფასებთ თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს?					
		უარყოფითად (ქულები: 1 და 2)	არც დადებითად, არც უარყოფითად (ქულა 3)	დადებითად (ქულები: 4 და 5)	მიჭირს პასუხის გაცემა
1.	ანაზღაურება	18.2%	36.4%	45.5%	
2.	სამუშაო გარემო/პირობები	4.2%	33.3%	62.5%	
3.	ურთიერთობები თანამშრომლებთან		9.1%	90.9%	
4.	დამქირავებელთან ურთიერთობა		9.5%	85.7%	4.8%
5.	სამუშაო გრაფიკი	4.3	13.0%	82.6%	
6.	საქმიანობის შინაარსი (ტიპი)	4.2%	25.0%	70.8%	


გამოკითხვა აჩვენებს, რომ დაუსაქმებელი რესპონდენტების უმრავლესობას (67%-მდე) არც უცდია სამსახურის მოძებნა გამოკითხვის მომენტამდე 4 კვირის განმავლობაში. ამის ძირითად მიზეზად (52.6%) კი დასახელდა რესპონდენტთა სწავლა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ისეთი დასახელებული მიზეზები, როგორებიცაა: „მაინც ვერ ვიპოვიდი სამუშაოს“ (16%-მდე) და „არ ვარ მზად მუშაობისთვის“ (11%-მდე).

გამოკითხვის შედეგები (დასაქმებასთან კავშირში) შემთხვევითია 2017 წელს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებულ კვლევასთან, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლას. ეს უკანასკნელი კვლევაც აჩვენებს, რომ სახელმწიფო ზრუნვიდან გასული რესპონდენტების ნახევარი დასაქმებულია, ძირითადად როგორც დაქირავებით დასაქმებული კერძო სექტორში ან თვითდასაქმებული. ალტერნატიული გამოკითხვაც აჩვენებს, რომ დასაქმებული რესპონდენტები დადებითად აფასებენ მათი სამუშაოს სხვადასხვა პარამეტრს (პირობები, ურთიერთობები, სამუშაო გრაფიკი და ა.შ. ალტერნატიული კვლევა ადასტურებს იმასაც, რომ დაუსაქმებელი რესპონდენტები არ არიან მოტივირებულნი ეძებონ სამსახური და ამის ძირითადი მიზეზებია ობიექტური (მაგ.: სწავლა) და სუბიექტური ფაქტორები (მაგ.: უიმედობა).

4. სოციალური დაცვა

რესპონდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა (77%-მდე) პასუხობს, რომ, მინდობითი აღზრდიდან გასვლის შემდეგ მას ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს არ შეუტანია განაცხადი სოციალურად დაუცველთა (უმწეოთა) ბაზაში მოსახვედრად. ასეთი განაცხადის შეტანას ადასტურებს გამოკითხულთა მეხუთედი (11 რესპონდენტი, 21.6%).


დიაგრამა #15



ძირითადი მიზეზად (36.1%), თუ რატომ არ მოხდა უმწეოთა ბაზაში მოსახვედრად განაცხადის შეტანა, რესპონდენტებმა დაასახელეს ის, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა. გასათვალისწინებელ მიზეზად დასახელდა, აგრეთვე, ის რომ ოჯახს დახმარება არ ეკუთვნის (11.4%). აღსანიშნავია, რომ ყოველ მესამე რესპონდენტს (იმათგან, ვის ოჯახსაც განაცხადი არ გაუკეთებია) გაუჭირდა მიზეზის დასახელება.


ამ კატეგორიის რესპონდენტთა დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რელევანტური შედეგია ისიც, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 17%-ია ისეთი, ვინც აცხადებს, რომ მისი ოჯახი აპირებს შეიტანოს განაცხადი სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოსახვედრად. ყოველი მეორე აღნიშნავს, რომ არ აპირებს, ხოლო ყოველ მესამეს უჭირს ამის გასაზღვრა.

დიაგრამა #16



იმ რესპონდენტების უმრავლესობამ, ვისმა ოჯახებმაც შეიტანეს განაცხადი სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოსახვედრად (ასეთია, როგორც ითქვა, სულ 11 ოჯახი), ვერ დაასახელა ოჯახის მიერ მიღებული სარეიტინგო ქულა. 4 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სარეიტინგო ქულა მოთავსებულია 30 001 – 57 000 ქულების ფარგლებში, ხოლო ერთმა რესპონდენტმა დაასახელა 0 - 30 000 ქულების ფარგლები. ეს ნიშნავს, რომ განაცხადის შემტან ამ ოჯახებს დაენიშნათ მონეტარული (ფულადი) სოციალური დახმარება, როგორც უმწეო ოჯახებს.


დიაგრამა #17



5. საცხოვრებელი


გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (59%-მდე) საკუთარ კერძო სახლში ცხოვრობს, რომელიც ერთი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს; შედარებით გავრცელებულ საცხოვრებელს წარმოადგენს, აგრეთვე, საცხოვრებელ კორპუსში მოთავსებული ბინა (25.5%). ცალკეულ შემთხვევებში ფიგურირებს საცხოვრებლის ისეთი ტიპები, როგორებიცაა საკუთარი სახლი, რომელიც რამდენიმე ოჯახის საკუთრებაა, ბინა ე.წ. იტალიურ ეზოში, ბინა საერთო საცხოვრებელში და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ორი რესპონდენტი მონასტერში ცხოვრობს.

დიაგრამა #18



საცხოვრებლის **მფლობელი**, უმეტეს შემთხვევაში, თავად ოჯახია. მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, ასევე, საცხოვრებლის ქირავნობის პრაქტიკაც. ცალკეულ შემთხვევებში საცხოვრებლის მფლობელია სხვა პირი ან ორგანიზაცია („ბავშვთა სოფელი“, საქართველოს საპატრიარქო).

დიაგრამა #19



გამოკითხვა აჩვენებს, რომ საცხოვრებელთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ის **სარემონტოა** (51%); რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (29.4%) უჩივის, აგრეთვე, იმას, რომ არ აქვს წყლის გამაცხელებელი საშუალებები. რესპონდენტთა ნაწილი (დაახლოებით მეხუთედ) მიუთითებს ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა: საცხოვრებელი ფართის არასაკმარისობა, საცხოვრებლად უვარგისობა, გათბობის არქონა და სხვ.

საგულისხმოა, რომ პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი, რომლის ოჯახიც დაქირავებულ საცხოვრებელში ცხოვრობს (ასეთია სულ 10 ოჯახი), მიუთითებს ბინის ქირის გადახდის პრობლემაზე (9 ოჯახი).

ცხრილი #9


№	ბინასთან/სახლთან დაკავშირებული პრობლემები	გვაწუხებს	არ გვაწუხებს	უარი პასუხზე
1	ავარიულ მდგომარეობაშია (საცხოვრებლად საშიშია)	13.7	84.3	2.0
2	საცხოვრებლად უვარგისია (ბნელია, ნესტიანია და ა.შ.)	19.6	78.4	2.0
3	სარემონტოა	51.0	47.1	2.0
4	ფართი საცხოვრებლად არასაკმარისია	19.6	78.4	2.0
5	ვერ ვათბობთ	19.6	78.4	2.0
6	არ არის ელექტროგაყვანილობა	5.9	92.2	2.0
7	არ გვაქვს წყლის გაცხელებისა და დაბანის საშუალება	29.4	68.6	2.0
8	გვაქვს სასმელი წყლის პრობლემა	11.8	86.3	2.0
9	ბინის ქირა	17.6	80.4	2.0
10	შეიძლება ბინის დაცლა მოგვთხოვონ	5.9	90.2	2.0
	სხვა: ბინის კრედიტის გადახდა	2.0		

საცხოვრებელთან დაკავშირებული გამოკითხვის შედეგები იმეორებს 2017 წელს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლას. ეს უკანასკნელი კვლევაც აჩვენებს, რომ რესპონდენტები ძირითადად კერძო სახლებში ცხოვრობენ რურალურ სივრცეში; აგრეთვე, მეტ-ნაკლებად გავრცელებულია საცხოვრებელი კორპუსის ბინაში ცხოვრება ურბანულ სივრცეში.

6. ეკონომიკური მდგომარეობა

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა ოჯახების ფინანსური შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ოჯახის წევრების (რესპონდენტის გარდა) ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება (33.7%). მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან წყაროებად დასახელდა: ა) რესპონდენტის ხელფასი/გამომუშავებული ანაზღაურება; ბ) ოჯახის წევრების პენსია და გ) სხვადასხვა სოციალური დახმარება (დევნილთა შემწეობის ჩათვლით).

დიაგრამა #20



გამოკითხვა იძლევა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რას შეადგენდა რესპონდენტთა ოჯახების ყველა წევრის ჯამური ფულადი შემოსავლები გასულ თვეში (შემოსავლის ყველა წყაროს გათვალისწინებით).

გამოკითხული 51 რესპონდენტიდან 28 (55%-მდე) აღმოჩნდა ისეთი, ვინც დაასახელა მათი ოჯახების შემოსავლები გასულ თვეში. დანარჩენ 23 რესპონდენტს ან გაუჭირდა ოჯახის შემოსავლების დასახელება ან უარი განაცხადეს ეპასუხათ ამ შეკითხვაზე.

ოჯახების შემოსავლების (გასულ თვეში) რაოდენობასთან მიმართებით, გამოკითხვამ ასეთი შედეგები აჩვენა (შემოსავლის ძირითადი წყაროების გათვალისწინებით):

- რესპონდენტთა ოჯახის წევრების ხელფასებისგან/გამომუშავებული ანაზღაურებისგან მიღებულ შემოსავალს 12 რესპონდენტი ასახელებს და ეს შემოსავალი გასულ თვეში შეადგენდა საშუალოდ (Mean) 481 ლარს თვეში. მედიანური მაჩვენებელი (Median) ამ შემთხვევაში 550 ლარის ტოლია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოკითხულთა ნახევარის ოჯახის წევრების შემოსავალი თვეში 550 ლარზე მეტია, ხოლო ნახევარის – 550 ლარზე ნაკლები;
- თავად რესპონდენტების ხელფასებისგან/გამომუშავებული ანაზღაურებისგან მიღებულ შემოსავალს 15 რესპონდენტი ასახელებს და ეს შემოსავალი გასულ თვეში შეადგენდა საშუალოდ (Mean) 429 ლარს თვეში. მედიანური მაჩვენებელი (Median) ამ შემთხვევაში 400 ლარის ტოლია;
- პენსიისგან მიღებული შემოსავლების ოდენობის საშუალო მაჩვენებელი (Mean) თვეში შეადგენს 231 ლარს (შემოსავლის ოდენობას ასახელებს 12 რესპონდენტი). მედიანური მაჩვენებელი (Median) ამ შემთხვევაში 180 ლარის ტოლია;
- სხვადასხვა სოციალური დახმარებისგან მიღებული შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი (Mean) თვეში შეადგენს 327 ლარს (შემოსავლის ოდენობას ასახელებს 6 რესპონდენტი). მედიანური მაჩვენებელი (Median) ამ შემთხვევაშიც 180 ლარის ტოლია;

თუ მხედველობაში მივიღებთ რესპონდენტთა (28 რესპონდენტის, ვინც შემოსავლის ოდენობები დაასახელა) ოჯახების მთლიან შემოსავალს (ნებისმიერი წყაროდან), გასულ თვეში რესპონდენტთა ოჯახების **ჯამური შემოსავალი შეადგენდა საშუალოდ (Mean) 691 ლარს.**


ცხრილი#10

დაახლოებით რას შეადგენდა თქვენი ოჯახის ყველა წევრის ჯამური ფულადი შემოსავალი გასულ თვეში (დახმარებების ჩათვლით)	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
რესპონდენტის ხელფასი/გამომუშავებული ანაზღაურება	15	36	429.3	400.0	400	242.707	100	800
ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება	12	39	481.2	550.0	700	296.020	25	900
პენსია	12	39	230.9	180.0	180	159.400	100	700
სხვადასხვა სოციალური დახმარება ან დევნილთა შემწეობა	6	45	326.7	180.0	100a	382.187	100	1100
მოწეული პროდუქციის რეალიზებით შემოსავალი	1	50	2500.0	2500.0	2500		2500	2500
ოჯახიდან დროებით წასული წევრების გზავნილები	4	47	237.5	250.0	300	75.000	150	300
სხვა ფულადი შემოსავლები	1	50	100.0	100.0	100		100	100
სულ შემოსავალი	28	23	691.2	600.0	900	533.451	25	2500

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა ოჯახების შემოსავლების ძირითადი ნაწილი იხარჯება სამი მიმართულებით:

- კვებაზე (34.5%)
- კომუნალურ გადასახადებზე (26%–მდე)
- მედიკამენტებზე (14.4%)


დიაგრამა #21



7. ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო მომსახურებებით სარგებლობა

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა შეაფასეს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში. გამოკითხულთა გამოკვეთილმა უმრავლესობამ (73%-მდე) აღნიშნა, რომ ისინი პრაქტიკულად ჯანმრთელები არიან. დამატებით ყოველი მეხუთე კი აღნიშნავს, რომ მათ აღენიშნებოდათ ჯანმრთელობის მცირე პრობლემები, რომლებიც ადვილად მოგვარდა. რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი (ჯამში 8%-მდე) აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში გამოუვლინდათ ქრონიკული დაავადებები, რომლებიც საჭიროებდა ხანგრძლივ (1 წელზე მეტი) რეგულარულ მკურნალობას, ხოლო ნაწილი კი ამბობს, რომ მათ შეექმნათ ჯანმრთელობის ისეთი მწვავე პრობლემები, რომელსაც დასჭირდა/სჭირდება ქირურგიული ჩარევა.


დიაგრამა #22



მთლიანობაში რესპონდენტთა 70%-ია ისეთი, ვისაც უსარგებლია ერთი რომელიმე სამედიცინო მომსახურებით მაინც გასული 12 თვის განმავლობაში. ეს მომსახურებები განსხვავებულია: რესპონდენტთა მესამედს უსარგებლია ისეთი მომსახურებებით, როგორებიცაა: ოჯახის ექიმის მომსახურება (31.4%). ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია/ამბულატორიული მკურნალობა (33.3%) და სტომატოლოგის კონსულტაცია (31.4%). ყოველმა მეოთხე რესპონდენტმა გამოიყენა სასწრაფო სამედიცინო დახმარება (23.6%) და პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურება (25.5%).

რესპონდენტთა დიდ/აბსოლუტურ უმრავლესობას ბოლო 12 თვის განმავლობაში არც ქირურგიული ოპერაცია დასჭირვებია და არც ჰოსპიტალიზაცია ქირურგიული ოპერაციის გარეშე.

დიაგრამა #23



გამოკითხვა აჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილე პირებს **სხვადასხვა სიხშირით** დასჭირდათ ზემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურებების მიღება. კერძოდ, ოჯახის ექიმის მომსახურების მიღება ბოლო 12 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დასჭირდა გამოკითხულთა 45.5%-ს, 27.3%-ს კი – სამჯერ. ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია რესპონდენტთა 60%-ს დასჭირდა ერთხელ, ხოლო 40%-ს – 2-ჯერ; რესპონდენტთა დაახლოებით 43%-ს სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახების საჭიროება მხოლოდ ერთხელ შეექმნათ, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა გამოკვეთილ უმრავლესობას (63.6%) ერთხელ დასჭირდა სტომატოლოგისგან სამედიცინო მომსახურების მიღება ბოლო 12 თვის განმავლობაში.

ცენტრალური ტენდენციის საზომები (Mean, Median, Mode) იძლევა სამედიცინო მომსახურებების გამოყენების სიხშირის უფრო მკაფიო სტატისტიკურ სურათს: ბოლო 12 თვეში ოჯახის ექიმის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალო მაჩვენებელია (Mean) 2.91. Median კი უტოლდება 2-ს (ანუ რესპონდენტთა ნახევარმა 2-ზე მეტჯერ ისარგებლა ამ ტიპის სამედიცინო მომსახურებით). რაც შეეხება ექიმ სპეციალისტის კონსულტაციას/ამბულატორიულ მკურნალობას და სტომატოლოგის მომსახურებას (ბოლო 12 თვის განმავლობაში), ამ მომსახურებებით სარგებლობის

საშუალო მაჩვენებელი (Mean) ბევრად ნაკლებია (ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია - 1.40; სტომატოლოგის მომსახურება - 1.45), ოჯახის ექიმის მომსახურების გამოყენების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღინიშნა, რესპონდენტების მხოლოდ მეოთხედმა ისარგებლა სასწრაფო დახმარების მომსახურებითა და პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურებით (რაც ნაკლებია ოჯახის ექიმის მომსახურების გამომყენებელთა რაოდენობაზე), ამ სერვისების მოთხოვნის საშუალო მაჩვენებელი (Mean) (სასწრაფო დახმარება - 2.71; პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურება - 2.80) ახლოსაა იმ რესპონდენტების საშუალო მაჩვენებელთან, რომელთაც დასჭირდათ ოჯახის ექიმის კონსულტაცია.

ცხრილი#11


სამედიცინო მომსახურებებით სარგებლობის სიხშირე	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
რამდენჯერ გისარგებლიათ ოჯახის ექიმის მომსახურებით?	11	40	2.91	2.00	1	4.085	1	15
რამდენჯერ გისარგებლიათ ექიმ- სპეციალ. კონსულტაციით/ამბულატორიული მკურნალობით	10	41	1.40	1.00	1	.516	1	2
რამდენჯერ გისარგებლიათ სასწრაფო დახმარებით	7	44	2.71	3.00	1	1.890	1	6
რამდენჯერ გისარგებლიათ პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურებით	5	46	2.80	2.00	1 ^a	2.049	1	5
რამდენჯერ გისარგებლიათ სტომატოლოგის მომსახურებით	11	40	1.45	1.00	1	.688	1	3

ის რესპონდენტები (29.4%), რომლებსაც ბოლო 12 თვის განმავლობაში არც ერთი სამედიცინო მომსახურებით არ უსარგებლიათ, ამბობენ, რომ მათ ეს **არ დასჭირვებიათ**.

რაც შეეხება **ჯანმრთელობის დაზღვევას**, გამოკითხულთა 46% აღნიშნავს, რომ ისინი სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით, ხოლო რესპონდენტთა ნახევარი კი არა.

ჯანმრთელობის დაზღვევის მქონე რესპონდენტების 33.3%-ს აქვს საყოველთაო დაზღვევა სახელმწიფოსგან, ხოლო 12.1% სარგებლობს უმწეო ოჯახების სამედიცინო დაზღვევით. გამოკითხულთაგან არავის აღმოაჩნდა კერძო (საკუთარი ხარჯებით) დაზღვევა ან კორპორატიული დაზღვევა სამსახურში. რესპონდენტთა 3%-მა აღნიშნა, რომ მათ აქვთ სტუდენტური სტიპენდია.

დიაგრამა #24



8. სოციალური პრობლემები


რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაესახელებინათ ის სოციალური პრობლემები, რომლებიც მათ სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსვლის შემდეგ შეექმნათ. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა ორი სოციალური პრობლემა:

- ფინანსების ნაკლებობა (63%-მდე)
- დაუსაქმებლობა (47.1%)


სხვა სოციალურ პრობლემებს შორის (თანაბარი წილით - 30%-მდე) აღსანიშნავია:

- საცხოვრებლის არქონა
- სწავლის გაგრძელების შეუძლებლობა
- დეპრესია /ნერვული აშლილობა

დიაგრამა #25



გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის გარკვევასაც, თუ რამდენად დამლიეს რესპონდენტებმა (მათმა ოჯახებმა) ზემოაღნიშნული სოცალური პრობლემები, ანუ არის თუ არა ისინი დღემდე აქტუალური. გამოკითხვა აჩენებს, რომ ის სოციალური პრობლემები, რომლებიც **ამჟამად** ყველაზე მეტად აწუხებთ რესპონდენტებს (მათ ოჯახებს) კვლავ უკავშირდება უმუშევრობასა და ფინანსების ნაკლებობას. სწორედ ფინანსების ნაკლებობის გამოა, რომ რესპონდენტები ვერ იხდიან ვალებს/საბანკო კრედიტებს და პრობლემები აქვთ, ასევე, კომუნალური გადასახადების გადახდის თვალსაზრისითაც.



9. ცხოვრების ხარისხით კმაყოფილება/ემპათია

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა იმის გასაზომად, თუ რამდენად შეიცვალა მათი კმაყოფილება, სხვადასხვა მიმართულებით, სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ. ამ კუთხით მათ შეადარეს მათი ამჟამინდელი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის პერიოდს.

(როგორც წარსული, ისე ახლანდელი მდგომარეობის მიმართ კმაყოფილების შეფასებისთვის (სხვადასხვა მიმართულებით) გამოყენებულია 5 ქულიანი სკალა, სადაც ქულა „1“ ნიშნავს „ძალიან უკმაყოფილოს“, ხოლო ქულა „5“ – „ძალზე კმაყოფილოს“).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა კმაყოფილება, ცხოვრების სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით, როგორც სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის პერიოდში, ისე სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდგომ, არ ექცევა უარყოფითი შეფასების ველში. თუმცა, სახეზეა ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით და ეს ცვლილებები არ არის ერთგვაროვანი: რესპონდენტთა მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ გარკვეული თვალსაზრისით გაუმჯობესდა, ხოლო სხვა თვალსაზრისით – გაუარესდა ან იგივე დარჩა:

1. რესპონდენტები საუბრობენ მდგომარეობის გაუარესებაზე შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებით:

- უსაფრთხოება
- სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო
- საცხოვრებელი ადგილი და გარემო
- მშვიდი ძილი
- საჭიროების შემთხვევაში დახმარების მიღების იმედი

2. რესპონდენტთა ამჟამინდელი მდგომარეობა, სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის პერიოდთან შედარებით, მათივე შეფასებით, გაუმჯობესდა (მეტად ან ნაკლებად) შემდეგი მიმართულებით:

- ცხოვრების დამოუკიდებლად გაძღოლის შესაძლებლობა
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა
- საკუთარი მიზნების განხორციელება
- განმარტოების შესაძლებლობა
- მინდობით აღმზრდელი მშობლების მხრიდან მოპყრობა
- საკუთარი ცხოვრების ხარისხით კმაყოფილება

3. რესპონდენტთა მდგომარეობა პრაქტიკულად არ შეცვლილა ისეთ ასპექტებთან მიმართებით, როგორებიცაა:

- მეგობრებთან ურთიერთობა
- ბიოლოგიური მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან დამოკიდებულება
- ნათესავების მხრიდან დამოკიდებულება
- მიღწევები საგანმანათლებლო მიმართულებით
- გართობის შესაძლებლობები
- ჯანმრთელობის მდგომარეობა
- ურთიერთობა მეზობლებთან/უბნელებთან

ცხრილი#12

რამდენად კმაყოფილი იყავით ადრე, როდესაც მინდობით აღზრდაში მონაწილეობდით და რამდენად კმაყოფილი ხართ ახლა, სხვადასხვა აპექტის გათვალისწინებით?	ადრე Mean 5 ქულიან სკალაზე	ახლა Mean 5 ქულიან სკალაზე
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი უსაფრთხოებით?	4.61	4.35
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი გარემოს სტაბილობით და პროგნოზირებადობით?	4.25	4.18
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი ურთიერთობებით მეგობრებთან?	4.53	4.59
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ მინდობით აღზრდელი მშობლების/მზრუნველების მხრიდან მოპყრობით?	4.51	4.76
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ ადამიანების (ოჯახის წევრების გარდა) თქვენს მიმართ დამოკიდებულებით?	4.22	4.49
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ ბიოლოგიური მშობლების და ოჯახის სხვა წევრების თქვენს მიმართ დამოკიდებულებით	3.67	3.79
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ ნათესავების თქვენს მიმართ დამოკიდებულებით	3.63	3.64
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი საცხოვრებელი ადგილით და გარემოთი?	4.45	3.88
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ ნივთებით/ტანსაცმლით რომლებიც თქვენს საკუთრებაშია?	4.45	4.43
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი მიღწევებით სკოლაში/კოლეჯში/უნივერსიტეტში?	4.02	4.00
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ გართობის შესაძლებლობებით?	4.00	4.06
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობით?	4.39	4.39
რამდენად კარგად გძინავთ?	4.51	4.35
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი გარეგნობით?	4.02	4.24
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ სახლში თქვენთვის შემოთავაზებული საკვებით?	4.41	4.57
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ შესაძლებლობით დამოუკიდებულად გაუძღვით თქვენს ცხოვრებას?	3.76	4.25
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ თქვენი შესაძლებლობით ჩართული იყოთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?	3.76	4.33
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ შესაძლებლობით განახორციელოთ თქვენი მიზნები?	4.02	4.41
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ, მეზობლებთან/უზნელებთან ურთიერთობის შესაძლებლობით?	4.33	4.27
რამდენად გქონდათ/გაქვთ იმედი, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიღებთ დახმარებას?	4.20	4.00
რამდენად კმაყოფილი იყავით/ ხართ განმარტოების შესაძლებლობით?	4.04	4.43
რამდენად კმაყოფილი იყავით/ხართ საკუთარი ცხოვრების ხარისხით?	3.75	3.94

ზემოაღნიშნული შედეგები მოწმობს, რომ სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლა დადებითად წაადგა რესპონდენტთა პიროვნებად ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების განვითარებას,

თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტები აღმოჩნდნენ უფრო დაუცველები, სხვადასხვა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე.


გამოკითხვა აჩვენებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს: რესპონდენტების რაციონალური და ემოციური ემპათია აშკარად ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი განსაზღვრავენ, თუ ვის მიმართავენ დასახმარებლად, თუ ამის საჭიროება დაუდგებათ. ყველაზე მეტად მხარდაჭერილი ჯგუფი, ამ შემთხვევაში, აღმოჩნდა მინდობით აღმზრდელები: მათ პირველი რიგის ნდობას უცხადებს რესპონდენტთა უმრავლესობა (53%-მდე). ნდობის მნიშვნელოვანი ხარისხი დაუკავშირდა, ასევე, ისეთ პირველად ჯგუფს, როგორიცაა მეგობრები.

რესპონდენტთა მეოთხედი (25.5%) ნდობას, პირველ რიგში, უკავშირებს ისეთ აქტორებს, როგორებიცაა:

- ბიოლოგიური მშობლები
- სოციალური მუშაკი
- სასულიერო პირები

ყველაზე ნაკლები ემპათია დაუკავშირდა მეზობლებს (3.9%), საერთაშორისო ორგანიზაციებს (5.9%), სახელმწიფო სტრუქტურებს (7.8%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (9.8%).

დიაგრამა #27



რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია მინდობით აღზრდის ინსტიტუტის (მომსახურების) გაძლიერების მიმართულებით:

- ❖ მინდობით აღზრდის ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით, შემუშავდეს სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც ასახავს სახელმწიფოს ხედვას ამ ინსტიტუტის განვითარების მიმართულებით, ასევე, იმ აუცილებელ განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლებიც დაეხმარება ქვეყანაში მინდობით აღზრდის მომსახურების განვითარებას, მათ შორის, მინდობით აღზრდელი ოჯახების მოზიდვა-გადამზადებას.
- ❖ მინდობითი აღზრდელი მშობლების/ოჯახების უწყვეტი განათლების ხელშეწყობა.
- ❖ მნიშვნელოვანია გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად მინდობით აღზრდელი მშობლების/ოჯახების პროფესიული მხარდაჭერა პროფესიული კვალიფიკაციის გაზრდის მიზნით.
- ❖ პერიოდულად მინდობით აღზრდის ინსტიტუტის შესახებ პოპულარიზაციის კამპანიების განხორციელება, ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების გაზრდის მიზნით.
- ❖ სპეციალიზებული მინდობით აღზრდელი მშობლების/ოჯახების მოზიდვა და უწყვეტი მხარდაჭერა, რათა მათ უპასუხონ რთული ქცევის ბავშვების საჭიროებებს.
- ❖ მინდობით აღზრდის მომსახურების დაფინანსებისთვის განსაზღვრული დაფინანსების ოდენობის გაზრდა, აღსაზრდელთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

მნიშვნელოვანია მინდობით აღზრდის მომსახურებაში აღზრდილი ახალგაზრდების გაძლიერების მიმართულებით:

- ❖ შემუშავდეს სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის მიმართულებით სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტულ საკითხებს/კომპონენტებს სამიზნე ჯგუფის დახმარების მიმართულებით.
- ❖ შემუშავდეს სახელმწიფო კონცეფცია სპეციალიზებულ მინდობით აღზრდიდან გასული შშმ ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიმართულებით მომსახურებათა ქსელის განვითარებაზე, მინდობით აღზრდის მომსახურების ჩათვლით.
- ❖ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, მოახდინოს მინდობითი აღზრდიდან გასული ახალგაზრდების შესახებ პირველადი ინფორმაციის სისტემატიზება, სადაც დაცული იქნება ინფორმაციები გასული ახალგაზრდების საცხოვრებელ მისამართებზე, სატელეფონო, ელექტრონული ფოსტის, საკონტაქტო პირების და სხვა.
- ❖ დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლის ეტაპზე ტრანზიტული მხარდამჭერი მომსახურებების (ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი მომსახურება, თავშესაფარი, დასაქმება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა და სხვა) განვითარება სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისთვის.
- ❖ სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებები (მინდობით აღზდა, მცირე საოჯახო სახლი) მაქსიმალურად ზრუნავდნენ აღსაზრდელთათვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო

უნარ-ჩვევების განვითარება–გადლიერებაზე. ამასთან, აღნიშნული მიმართულებით მხარეთა მიერ გაწეული საქმიანოებები მკაფიოდ იყოს ასახული აღსაზრდელთა ინდივიდუალური განვითარებისა და მომსახურების გეგმებში (ეს უკანასკნელი სააღმზრდელო დაწესებულებათა შემთხვევაში).

- ❖ მინდობით აღზრდის პერიოდში, უზრუნველყოფილ იქნას აღსაზრდელის მაქსიმალური ჩართვა/თანამონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

მნიშვნელოვანია ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერების მიმართულებით:

- ❖ შეიქმნას სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აღსაზრდელთა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გაყვანის მიმართულებით ჩართული მხარეების მიერ განსახორციელებელ ქმედით ღონისძიებებსა და პროცედურებს. აღნიშნული მექანიზმების ამოქმედება ხელს შეუწყობს ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ხანგრძლივ დაყოვნებას.
- ❖ სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავდეს სახელმწიფოს ხედვას ქვეყნის მასშტაბით ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერების მიმართულებით ახალი მხარდამჭერი მომსახურებების შესაძლო მოდელების განვითარებასთან დაკავშირებით.
- ❖ პრიორიტეტულია აღსაზრდელის სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლამდე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურმა მუშაკმა გააძლიეროს მუშაობა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან/ოჯახის წევრებთან ბავშვის ოჯახში დაბრუნების პროცესის მხარდაჭერისთვის, რათა ოჯახში დაბრუნების შემდეგ, ბავშვმა/ახალგაზრდამ ცხოვრება გააგრძელოს ემოციურად უსაფრთხო გარემოში. სოციალური მუშაკის მიერ ამ მიმართულებით დასახული მიზნები/ღონისძიებები/საქმიანოები აისახოს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში.
- ❖ ბავშვების მინდობით აღზრდაში ყოფნის პერიოდში, მათი ბიოლოგიური მშობლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის უპირატეს ინტერესებს) აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა, ამიტომ შესაძლებელია ზრუნვის პროცესში თანამონაწილეობის ხარისხის გაზრდის მიზნით, ხელშეკრულება გაფორმდეს სახელმწიფოს, მინდობით აღმზრდელსა და ბიოლოგიურ მშობელს შორის.

სოციალური მუშაკის, როგორც პროფესიონალის გაძლიერების მიმართულებით:

- ❖ საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. მათ შორის, კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი აღსაზრდელების/მათი ბიოლოგიური ოჯახების მხრიდან სოციალური მუშაკებისადმი სწორი დამოკიდებულებისა და მოლოდინების ჩამოყალიბების მიზნით.
- ❖ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკების სამუშაო ვალდებულებების (ფუნქცია-მოვალეობების) პროფესიონალურად წარმართვისთვის ხელშემშლელი ფაქტორების

(სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვებთან/ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობის კუთხით) იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის მიმართულებით ეტაპობრივად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება.